# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 179 „13“ 09 2011 წ.

## ს.ს.ი.პ. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე“ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „უფლებამოსილების მინიჭებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 24 ივნისის №99 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის (სამსახურის) უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ზაალ ლომთაძის მოხსენებითი ბარათის და ს.ს.ი.პ. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ს.ს.ი.პ. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე“ (გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია შემდეგ სახეობაზე: მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენება, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ს.ს.ი.პ. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მარიამ ვალიშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე